



მანანა მიქაბერიძე

2017 წლის ივნისიდან მანანა (მაკო) მიქაბერიძე არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი.

2017 წლის აპრილიდან 2017 წლის ივნისამდე მანანა მიქაბერიძე ასრულებდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოვალეობას.

2015 წლის იანვრიდან 2017 წლის მარტამდე მანანა მიქაბერიძე იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე პროგრამულ მიმართულებაში და ჩართულია ფონდის ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამების სტრატეგიულ განვითარებასა და ადმინისტრირებაში.

მანანა მიქაბერიძემ 2005 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისურ-ქართულენოვანი ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა "ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში" და მიიღო სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. 1996-1997 წლებში თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ TACIS-ის საჯარო ადმინისტრირების კოლეჯში გაიარა ზოგადი და ფინანსური მენეჯმენტის სასერთიფიკატო კურსები; 1995 წ. დაამთავრა თსუ-ს ბიოლოგიის ფაკულტეტი იმუნოლოგიის სპეციალიზაციით (ხუთწლიანი დიპლომი, მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული).

1998 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოში" სხვადასხვა პროგრამებში: ადმინისტრაციულ ოფისში, უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორად (1999-2001), სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორად (2001-2003), მთარგმნელობითი და საგამომცემლო პროგრამის კოორდინატორად (2002-2004), გრანტების ადმინისტრატორად (2003 ოქტ - 2004 მაისი).

2004 წლის მაისიდან მან დაიწყო მუშაობა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრში კოორდინატორად და ორგანიზებას უწევდა ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებსა და ინიციატივებს (სამაგისტრო დონის ახალი აკადემიური კურსების განვითარების კონკურსები, საერთაშორისო კონფერენციები, სემინარები, გამოცემები, მთარგმნელობითი პროექტები და სხვ.), უძღვებოდა ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ თსუ-ს ინტერდისციპლინური სამაგისტრო მოდულების სტუდენტთა გაერთიანებული სამსახურის ოფისს. 2008 წლიდან იგი დანიშნულ იქნა ცენტრის ადმინისტრაციულ დირექტორად. 2010-2011 წლებში ის აგრეთვე ასრულებდა ცენტრის დოქტორანტურის ტრენინგის ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობას და კოორდინირებას უწევდა ცენტრის ხელშეწყობით განვითარებული, თსუ-ს საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებსა (საერთაშორისო ურთიერთობებისა და გენდერის კვლევის) და თსუ-ს დოქტორანტებისათვის კვლევის მეთოდების მოდულს.

2013 -2014 წლებში ის იყო ცენტრის პროექტის "საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე" დირექტორი (დონორი: ღია საზოგადოების ფონდების უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამა/OSF HESP). 2012-2014 წლებში მანანა აგრეთვე იყო ღია საზოგადოების ფონდების უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „ივ.

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მმართველობისა და აკადემიური მენეჯმენტის რეფორმა“ ადმინისტრაციული დირექტორი;

2013 წლის სექტემბრიდან მანანა ასრულებდა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობას, ხოლო 2014 წლის აპრილიდან დეკემბრის ჩათვლით იყო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

ბოლო წლების განმავლობაში ის ჩართული იყო როგორც ადმინისტრაციული დირექტორი ცენტრის შემდეგი პროექტების განხორციელებაში:

- 2014 - უმაღლესი განათლების პროგრამების ეფექტურობის განსაზღვრა კარიერული განვითარებისთვის: სოციალურ მეცნიერებებში აკადემიური პროგრამებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა. დონორი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
- ASCN -ის მიერ დაფინანსებული პროექტების ადმინისტრაციული მენეჯმენტი: 2014 - ევროპეიზაცია: პოლიტიკური დისკურსი პოპულარული დისკურსის პირისპირ საქართველოში. 2014 - ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია. დონორი: შვეიცარია-კავკასიის აკადემიური ქსელი;
- 2014 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის ერთიანი ინფორმაციული ჩარჩოს მომზადება და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დაფუძნების ხელშეწყობა. დონორი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
- 2014 - საერთაშორისო კონფერენცია "საქართველო თანამედროვე მსოფლიოში". დონორი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
- 2014-2016 - განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: ფსიქოლოგია, გენდერი, გამოყენებითი სტატისტიკა, საჯარო პოლიტიკა და მართვა. დონორი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
- 2014 - გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა დასაქმებაში. პარტნიორი ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ პროექტში. დონორი: USAID
- 2014 - ქართულ-სომხური ურთიერთობები: გამოწვევები და შესაძლებლობები ორმხრივი თანამშრომლობისთვის. დონორი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი
- 2013 - საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ქალების საჭიროებებისა და პრიორიტეტების კვლევა. დონორი: UN Women IAGE Programme
- 2013 - სასკოლო განათლების გამოყენება ახალგაზრდებში გენდერულად სენსიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისთვის. დონორი: ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი
- 2012-2013 - სტივენ ჯონსის წიგნის "საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე" თარგმნა და გამოცემა. დონორი: ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამა.
- 2012-2014 - გენდერული თანასწორობის შესახებ ქართველი ახალგაზრდების ცოდნის, აღქმისა და დამოკიდებულების კვლევა. დონორი: შვეიცარია-კავკასიის აკადემიური ქსელი (ASCN)

- 2012-2013 - უილიამ კეილორის წიგნის "მეოცე საუკუნის მსოფლიო: საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან" თარგმნა და გამოცემა. დონორი: აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ფედერალური დახმარების ჯილდო. ნომერი: S-GE800-12GR-064
- 2011-2012 - საჯარო პოლიტიკის, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების, განათლების, გენდერული თანასწორუფლებიანობის მონაცემებზე დაფუძნებული სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევები. დონორი: საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "ქართუ"
- 2009-2013 - საერთაშორისო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების განვითარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. დონორი: OSF HESP. პროექტის კოდი: E0476

მანანა იყო სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ განხორციელებული მთარგმნელობითი და საგამომცემლო პროექტების მენეჯერი და მისი მონაწილეობით გამოიცა ცენტრის მიერ დაბეჭდილი თანამედროვე და კლასიკური აკადემიური ლიტერატურის თარგმანები, სოციალურ მეცნიერებათა სერია, რაც მოიცავდა სოციალურ მეცნიერებებში ახალი სამაგისტრო კურსების დამხმარე სახელმძღვანელოებსა და გაფართოებულ სილაბუსებს, აგრეთვე სოციალური და პოლიტიკური ტერმინების ლექსიკონი-ცნობარი.

მანანა მიქაბერიძე არის ა.შ.შ. საერთაშორისო ვიზიტორ ლიდერთა პროგრამის მონაწილე და ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ქსელის წევრი. მან 2013 წელს მიიღო მონაწილეობა სპეციალური პროგრამაში უმაღლესი განათლების სისტემაში მომუშავე სპეციალისტებისა და ადმინისტრატორებისთვის, პროგრამა ეხებოდა უმაღლესი განათლების ფინანსურ მენეჯმენტს, უმაღლეს სასწავლებლებში კვლევისა და განვითარებისათვის ფონდების მოძიებასა და ინვესტირებას, უნივერსიტეტების დაფინანსების სისტემას აშშ-ში. (University Endowment in U.S.). ვიზიტის ორგანიზატორი იყო განათლების საერთაშორისო ინსტიტუტი (IIE); მას მიღებული აქვს მონაწილეობა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სპეციალური და გაფართოებული პროგრამების მიერ ორგანიზებული უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში; UNESCO-ს ტრენინგმასალების საფუძველზე მომზადებული და განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მენეჯმენტის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მიერ ადმინისტრირებულ 'უმაღლესი განათლების სისტემის ინსტიტუციური მენეჯმენტის' სემინარებში;

მანანა იყო სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე 2007-2011 წლებში; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრი 2011-2014 წლებში; უმაღლესი განათლების რეფორმის პლატფორმის სამუშაო ჯგუფის წევრი 2013 წლის ივნისიდან.